

**2022 წელს საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობაზე ასარჩევად  
საქართველოს პარლამენტისთვის კანდიდატურების წარდგენის  
წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. 2022 წელს საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის კანდიდატურების წარდგენის წესით (შემდგომ – წესი) განისაზღვრება საქართველოს სახალხო დამცველობის კანდიდატად წარდგენის მსურველ პირთა (შემდგომ – კანდიდატები) მიერ განცხადების წარდგენის, მათი შეფასების, შერჩევისა და შემდეგ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული საქართველოს სახალხო დამცველის კანდიდატურის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტებისთვის (შემდგომ – პარლამენტის უფლებამოსილი სუბიექტები) წარდგენის პროცედურები.

2. ამ წესის მიზანია:

ა) საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობაზე კანდიდატის არჩევის პროცედურების იმგვარად წარმართვა, რომ საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს ახალი სახალხო დამცველის არჩევა მოქმედი სახალხო დამცველის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე;

ბ) კანდიდატის შეფასების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის, აკადემიური და პროფესიული წრეების, მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა, აგრეთვე საქართველოს პარლამენტისთვის არჩევანის მაქსიმალური მრავალფეროვნების უზრუნველყოფა;

გ) საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობაზე იმ კანდიდატის არჩევა, რომელიც კეთილსინდისიერებით, მაღალი რეპუტაციით, მიუკერძოებლობით, დამოუკიდებლობით, სათანადო პროფესიული ცოდნითა და ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სფეროში პრაქტიკული გამოცდილებით ყველაზე მეტად შეესაბამება სახალხო დამცველის მაღალ სტატუსს;

დ) საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობაზე არჩევანისთვის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით წარმართვა, რაც, მათ შორის, გულისხმობს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებთან, ომბუდსმენის ინსტიტუტის დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ ვენეციის კომისიის მიერ მიღებულ პრინციპებთან, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის აკრედიტაციის ქვეკომიტეტისა და ბელგრადისა და გაეროს პარიზის პრინციპებთან მათ შესაბამისობას.

**მუხლი 2. საქართველოს სახალხო დამცველობის კანდიდატთა შერჩევის პროცესის დაწყება**

1. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არაუგვიანეს 2022 წლის 20 სექტემბრისა საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე ათავსებს განცხადებას საქართველოს სახალხო დამცველობის კანდიდატთა შერჩევის პროცესის დაწყებისა და კანდიდატთა მიერ განცხადების წარდგენის შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადება ეგზავნება აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველს საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდზე განთავსების მიზნით.

3. დაინტერესებულ პირთათვის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის მიზნით ინფორმაცია ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებებით.

4. განცხადების მიღების შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა) საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების იმ მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს კანდიდატი;

ბ) განცხადების მიღების ვადას;

გ) წარსადგენი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სიას;

დ) ინფორმაციას განცხადების წარდგენის ადგილისა და ფორმის შესახებ.

5. კანდიდატის მიერ წარდგენილ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს: კანდიდატის სახელი და გვარი, უმაღლესი განათლება, სამეცნიერო ხარისხი (თუ აქვს), სამუშაო ადგილი და თანამდებობა, საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი. ამ განცხადებას ხელს უნდა აწერდეს კანდიდატი. მას უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

გ) კანდიდატის ავტობიოგრაფია (CV);

დ) ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სფეროში პრაქტიკული გამოცდილების დამადასტურებელი დამატებითი დოკუმენტები, კანდიდატის შეხედულებისამებრ.

6. განცხადების მიღების ვადაა 10 სამუშაო დღე.

7. თუ კანდიდატთა შეფასების პროცესში არ მონაწილეობენ იმ რაოდენობის პირები, რომელიც პარლამენტის უფლებამოსილ სუბიექტს ამ წესის მე-4 მუხლით დადგენილი რაოდენობის კანდიდატთა შერჩევის შესაძლებლობას მისცემს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია გაახანგრძლივოს განცხადების მიღებისთვის წინასწარ განსაზღვრული ვადა არაუმეტეს 10 კალენდარული დღით. თუ გაახანგრძლივებული ვადის განმავლობაშიც არ იქნება წარდგენილი იმ რაოდენობის განცხადებები, რომელიც პარლამენტის უფლებამოსილ სუბიექტს ამ წესის მე-4 მუხლით დადგენილი რაოდენობის კანდიდატთა შერჩევის შესაძლებლობას მისცემს, პროცედურები თავიდან დაიწყება.

8. კანდიდატთა შესახებ ინფორმაცია განთავსდება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე განცხადების მიღების ვადის ამოწურვის თარიღიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

9. განცხადების წარდგენით კანდიდატი იძლევა თანხმობას იმაზე, რომ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის აპარატმა მოიძიოს კანდიდატის შესახებ ინფორმაცია და დაამუშაოს კანდიდატის პერსონალური მონაცემები ამ წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისთვის.

### **მუხლი 3. შეფასების სამუშაო ჯგუფი. კანდიდატის შეფასებისა და შერჩევის პრინციპები**

1. კანდიდატთა შეფასების მიზანია პარლამენტის უფლებამოსილი სუბიექტებისთვის მათ შესახებ მაქსიმალურად სრული ინფორმაციის მიწოდება კანდიდატურების შესარჩევად.

2. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბრძანებით უზრუნველყოფს შეფასების სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებას სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის, აკადემიური და პროფესიული წრეების, ჩართულობით. შეფასების სამუშაო ჯგუფი შედგება 9 წევრისგან. შეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნამდე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ატარებს კონსულტაციებს პარლამენტის უფლებამოსილ სუბიექტებთან.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების სამუშაო ჯგუფის წევრები აფასებენ კანდიდატებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) კეთილსინდისიერება და მაღალი რეპუტაცია;

ბ) მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა;

გ) სათანადო პროფესიული ცოდნა (კვალიფიკაცია, აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო მიღწევები და სხვა);

დ) პრაქტიკული გამოცდილება ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სფეროში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თითოეული კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს შეფასების სამუშაო ჯგუფის თითოეული წევრი ცალკე აფასებს 0-დან 10 ქულამდე. შეფასება ხდება დოკუმენტების საფუძველზე, ზეპირი გასაუბრების გარეშე.

5. შეფასების სამუშაო ჯგუფი შეისწავლის კანდიდატების საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამასთანავე, შეფასების სამუშაო ჯგუფი აღნიშნულ პირებს აფასებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით. ამ მიზნით კანდიდატი ვალდებულია შეფასების სამუშაო ჯგუფს სრულყოფილად მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია. თავის მხრივ, შეფასების სამუშაო ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს უფლება, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის დახმარებით მოიძიოს/გადაამოწმოს კანდიდატის შესახებ საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, მისი ბიოგრაფიული ცნობები, ინფორმაცია შრომითი გამოცდილებისა და პროფესიული ცოდნის შესახებ, აგრეთვე აღნიშნული პირის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სხვა კრიტერიუმების მიხედვით შეფასებისთვის საჭირო ინფორმაცია.

6. თუ შეფასების სამუშაო ჯგუფის წევრს მიაჩნია, რომ მას არ აქვს კონკრეტული კანდიდატის რომელიმე კრიტერიუმის მიხედვით შეფასებისთვის საკმარისი ინფორმაცია, მას უფლება აქვს, თავი შეიკავოს აღნიშნული კანდიდატის ამ კრიტერიუმის მიხედვით შეფასებისგან. ასეთ შემთხვევაში რომელიმე კრიტერიუმის მიხედვით კონკრეტული კანდიდატის შეფასებისგან თავის შეკავება არ შეიძლება

განიმარტოს ამ კანდიდატის მიმართ შემფასებლის დადებით ან უარყოფით შეხედულებად.

7. შეფასების სამუშაო ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს უფლება, კანდიდატის შეფასებას დაურთოს საკუთარი დამატებითი განმარტება.

8. შეფასების სამუშაო ჯგუფის წევრთა შეფასებები და განმარტებები წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

9. კანდიდატთა შესახებ წარდგენილი შეფასებები და განმარტებები მათი შეფასებისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვისთანავე სრულად გამოქვეყნდება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე.

10. შეფასების სამუშაო ჯგუფმა ამ წესით დადგენილი კანდიდატთა შეფასების პროცესი უნდა დაასრულოს არაუგვიანეს 2022 წლის 13 ოქტომბრისა. ამ წესის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად განცხადების მიღების ვადის გახანგრძლივების შემთხვევაში კანდიდატთა შეფასების პროცესის დასრულების ვადა გახანგრძლივდება შესაბამისი რაოდენობის კალენდარული დღით.

11. შეფასების სამუშაო ჯგუფის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის აპარატი.

#### **მუხლი 4. კანდიდატურების წარდგენა**

1. პარლამენტის უფლებამოსილი სუბიექტი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ერთ ან ერთზე მეტ კანდიდატურას იმ პირობაზე, რომლებმაც მიმართეს საქართველოს პარლამენტს კანდიდატთა შეფასების პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

2. კანდიდატურები წარდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს 2022 წლის 21 ოქტომბრისა. ამ წესის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად განცხადების მიღების ვადის გახანგრძლივების შემთხვევაში კანდიდატურების წარდგენის ვადა გახანგრძლივდება შესაბამისი რაოდენობის კალენდარული დღით.

3. პარლამენტის უფლებამოსილ სუბიექტებს შეუძლიათ ერთობლივად წარადგინონ ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატურა.

4. კანდიდატების განხილვა დაიწყება, თუ დასახელებული კანდიდატების რაოდენობა 7-ზე ნაკლები არ იქნება. სხვა შემთხვევაში პროცედურები თავიდან დაიწყება.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი რაოდენობის კანდიდატთა დასახელების შემდეგ კანდიდატებად დასახელებული პირების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე.

#### **მუხლი 5. წარდგენილი კანდიდატურების საქართველოს პარლამენტის მიერ განხილვის დაწყება**

წარდგენილი კანდიდატურები განიხილება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით.